



N 04/1251
17.12.2024

ბრძანება

1251-01-4-202412171349



შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევიנג კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8¹ მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;
2. შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;



3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;


4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე



გადაწყვეტილება

შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიასა“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2024 წლის 28 ნოემბრის N01/6093 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881), შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიასა“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციების თაობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტრანზაქციების შესრულებას მხარეები აპირებენ ერთდროულად, სამიზნე კომპანიების ერთობლივად შეძენა შეძენის ერთიანი სტრატეგიული და ყოვლისმომცველი გეგმის ნაწილია და, ამასთანავე, სამიზნე კომპანიები არიან ერთი ჯგუფის წევრები, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, კონცენტრაციის ეფექტის სრულყოფილად შესასწავლად აღნიშნული ტრანზაქციები გაერთიანებული სახით განეხილა. შესაბამისად, აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და 2024 წლის 29 ნოემბრის კორესპონდენციით მხარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.¹

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ შემდეგ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა და მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები და მათი ერთობლივი შემოსავლები 2023 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა, რომელიც მოიცავს: მხარის მოსაზრებას შესაბამის ბაზართან დაკავშირებით; უახლოესი 24 თვის ეკონომიკურ და ბიზნეს-გეგმებს; კონცენტრაციის სავარაუდო და მოსალოდნელი შედეგების აღწერას; მოლოდინებს კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ და საკითხებს, რომლებმაც, მხარეთა მოსაზრებით, შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის გადაწყვეტაზე და რომლებზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა გამახვილდეს.

¹ 2024 წლის 29 ნოემბრის წერილი რეგ. N 01/6128.

შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა:

- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირებისა და მათი მონაცემების ამსახველი სქემა;
- ამონაწერი ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან;
- კონცენტრაციის მხარეების ძირითადი მიმწოდებლებისა და შემსყიდველების შესახებ ინფორმაცია;
- მხარეთა მიერ წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობა 2023 წელს (ასორტიმენტის მიხედვით);
- Galt & Taggart-ის 2023 წლის ლუდის სექტორის მიმოხილვა;
- წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევიנג კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგი“ (ს/ნ 404589913), რომლის აქციების %-ს, თავის მხრივ, ფლობს .

შპს „გენუინ ბრევიנג კომპანი“ (ს/კ 405070694) ფლობს შპს „კრაფტი და დრაფტის“ (ს/კ 436043675) 100%-იან წილს. ხოლო შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“ (ს/კ 405182840) ფლობს შპს „ახალი ყავის კომპანიის“ (ს/კ 205288099) 100%-იან წილს.

რაც შეეხება, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგს“ (ს/კ 405740881), მისი 100%-იანი წილის მესაკუთრეა „ბავარია ოვერსის ბრიუერის (ბ.ო.ბ) V ბ.ვ“ (94798427 (ნიდერლანდები)), რომლის მშობელ კომპანიასაც წარმოადგენს „Royal Swinkels N.V“ (64910792 (ნიდერლანდები)).

დადგენილი კონცენტრაციის ფარგლებში, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ (ს/კ 405740881) აპირებს სს „ჯორჯიან ბევერიჯის ჰოლდინგისგან“ სრულად შეისყიდოს შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“, შპს „გენუინ ბრევიנג კომპანის“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ 100%-იანი წილები.

როგორც სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაშია მითითებული, კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე საქმიანობენ შპს „კრაფტი და დრაფტი“ (ს/კ 436043675) და შპს „ახალი ყავის კომპანია“ (ს/კ 205288099).

შეტყობინებაში ასევე მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მათ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან წილები არ შეუძენიათ.

კონცენტრაციის ფორმა:

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის ეკონომიკურ აგენტებზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება წილების შეძენის გზით. კერძოდ, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ აპირებს შეიძინოს შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“, შპს

„გენუინ ბრევიנג კომპანის“, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიასა“ და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ 100%-იანი წილები.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ მიერ სამიზნე კომპანიების შეძენა მიზნად ისახავს ჰოლდინგის სტრატეგიულ ზრდასა და დივერსიფიკაციას სასმელების ინდუსტრიაში ისეთი ახალი მიმართულებების ათვისებით, როგორებიცაა ქართული ლიმონათები, ყავა და დისტრიბუცია-ლოგისტიკის სფეროები. ასევე, მათი მიზანია, „Royal Swinkels N.V.“-ის ჩართულობის საფუძველზე, გაერთიანებული ცოდნისა და რესურსების ეფექტური გამოყენებით, ბაზრის ხელმისაწვდომობისა და შემოსავლის ზრდა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესება საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში.

კონცენტრაციის შემდეგ, 24 თვის განმავლობაში, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ გეგმავს რამდენიმე მნიშვნელოვან ინიციატივაზე ფოკუსირებას, რათა განახორციელოს სტრატეგიული მიზნები. ესენია:

1. პორტფელის ზრდა პროდუქციისა და მომხმარებლის მიმართულებით:

მიზანი: პროდუქციის შეთავაზების დივერსიფიცირება და მომხმარებლის ფართო წრის მოზიდვა.

გეგმა: ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად მყიდველი გეგმავს სამიზნე კომპანიების ბრენდინგის გაუმჯობესებასა და ახალი სადისტრიბუციო არხების შემუშავებას, როგორც არსებული, ისე ახალი პროდუქტებისთვის. „Royal Swinkels N.V.“, რომელიც ამჟამად 300-ზე მეტ სასმელს სთავაზობს მომხმარებელს (რომელთა შორის აღსანიშნავია წამყვანი საერთაშორისო ბრენდების ლუდები, ლაგერ ლუდი, ყველასთვის ცნობილი ჰოლანდიური სასმელები, კრაფტ გამაგრილებელი სასმელები, დაბალალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები), თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მნიშვნელოვან კონტრიბუციას შეიტანს აღნიშნულ პროცესში.

2. ბაზრის ხელმისაწვდომობა და გეოგრაფიული გაფართოება:

მიზანი: სამიზნე კომპანიების საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება განსაკუთრებით მეზობელ რეგიონებში, სადაც მზარდი მოთხოვნაა სასმელ პროდუქტებზე.

გეგმა: ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების ექსპორტის შესაძლებლობების ზრდა მეზობელი ქვეყნების ადგილობრივ დისტრიბუტორებთან ურთიერთობების დამყარების გზით და შესაბამისი აქტივობების განხორციელება ახალ ბაზრებზე ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის.

3. მდგრადობის ინიციატივები:

მიზანი: სამიზნე კომპანიების გარემოსდაცვითი ანაბეჭდების გაუმჯობესება და მდგრადი პრაქტიკების სამუშაო სპეციფიკაში ასახვა.

გეგმა:

- გარემოზე ზემოქმედების შემცირება: პარიზის შეთანხმებითა და ევროკავშირის სხვა რეგულაციების დანერგვა და დაცვა, რომელიც ასევე მოიაზრებს 2050 წლისთვის CO₂ - ის ემისიების ნეიტრალიზებას;

- ეკოშეფუთვის გამოყენება და ნარჩენების შემცირება: ეკოლოგიურად მეგობრული შეფუთვის დანერგვა, წყლის მოხმარების შემცირება, წარმოებაში ნარჩენებისა და კარბონული ემისიების სწორი მართვის უზრუნველყოფა;
- მომხმარებლებისა და დასაქმებულთათვის ხელშესახები სარგებლის გენერირება მდგრადი და ხარისხიანი პროდუქტების წარმოება-მიწოდებით. ასევე, განგრძობადად უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

4. ტექნოლოგიური ინიციატივები:

მიზანი: ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესება ტექნოლოგიური ინიციატივების მეშვეობით.

გეგმა: „Royal Swinkels N.V.“ თავის ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებს მიზნობრივ კომპანიებში ეფექტური ლუდის წარმოების ტექნიკის დანერგვისა და ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გასატარებლად.

5. ოპერაციული სინერგიები:

მიზანი: ოპერაციული სინერგიებისა და ეფექტიანობის მიღწევა.

გეგმა: ოპერაციული სინერგიების შესაძლო სფეროების იდენტიფიცირება და განხორციელება, განსაკუთრებით შესყიდვების მიმართულებით.

6. ტრენინგებისა და განვითარების ინტეგრაცია:

მიზანი: სამიზნე კომპანიებში „Royal Swinkels N.V.“-ის საერთაშორისო ბიზნეს პოლიტიკის ინტეგრაცია და საქართველოში ძლიერი ადგილობრივი გუნდის შექმნა.

გეგმა:

- მენეჯერების მიწვევა გლობალურ შეხვედრებზე, ძირითადი ფუნქციების (მარკეტინგი, ფინანსები, ლუდის წარმოება, HR, IT) ფარგლებში ცოდნის გაზიარებისთვის;
- წამყვანი რგოლების (ლიდერშიფის) ჩართვა საერთაშორისო ლიდერთა პროგრამაში და პროგრამის მოქმედების გავრცელება ადგილობრივ ლიდერებზე მათი კომპეტენციების გაძლიერებისა და გლობალური სტანდარტების დანერგვის მიზნით;
- მიზნობრივი ტრენინგების უზრუნველყოფა შესაბამისობის, ხარისხის, ფასებისა და მარკეტინგული სტრატეგიების შესახებ, გლობალური სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;
- ქართველი ტალანტებისთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემა, რათა განავითარონ პროფესიული უნარები საზღვარგარეთ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ხელი შეუწყონ კომპანიის კულტურის გრძელვადიანად განმტკიცებას.

7. ფინანსური მიზნები

მიზანი: მომგებიანობისა და შემოსავლების ზრდა მომდევნო 24 თვის განმავლობაში.

გეგმა: კომპანია აპირებს უზრუნველყოს შემოსავლების მდგრადი ზრდა, პროდუქციის გამოშვების კაპიტალიზაციისა და ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესების გზით. ამასთან, განვითარების პროცესში მასშტაბის ეკონომიის მიღწევა და მისი გამოყენება ხელს შეუწყობს მომგებიანობის ზრდას.

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაცია ატარებს ყოვლისმომცველ და სტრატეგიულ ხასიათს, რომელიც მოიცავს ბიზნესის გაფართოების, დივერსიფიკაციის, ეკონომიკური ზრდისა და ოპერაციული ეფექტიანობის მიღწევას.

ტრანზაქციის ძირითადი მიზნებია:

ბიზნეს საქმიანობის, ბაზრებისა და მიმართულებების გაფართოება:

სამიზნე კომპანიების შესყიდვა საშუალებას მისცემს შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგს“ გააფართოოს თავისი საქმიანობა და ბაზარზე წარმომადგენლობა როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ რეგიონებში. ახალი მიმართულებების ათვისება, როგორიცაა ქართული ლიმონათების წარმოება, ყავის დისტრიბუცია და დამატებითი ლოგისტიკური მომსახურებები, ხელს შეუწყობს არსებული ბიზნეს საქმიანობის მრავალმხრივ განვითარებას. „Royal Swinkels N.V.“, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული საოჯახო ბიზნესია 300 წელზე მეტი გამოცდილებით ლუდის წარმოებისა და მალტინგის ინდუსტრიაში, ამ სტრატეგიული ნაბიჯით მიზნად ისახავს ჯგუფის საქმიანობის დივერსიფიკაციას, მიმდინარე შეთავაზებებისა და რეგიონების გაფართოებას, რაც ასევე, მოიცავს მომხმარებელთა ფართო სპექტრის საჭიროებებზე მორგებასა და დასავლეთ ევროპის, აფრიკისა და ამერიკის რეგიონების ფარგლებს მიღმა პოზიციონირებას.

მომგებიანობის, შემოსავლებისა და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდა:

დაგეგმილი კონცენტრაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებისა და რესურსების შერწყმით, ხელს შეუწყობს სამიზნე კომპანიების ოპერაციული ეფექტიანობისა და შემოსავლების ზრდას, რაც საბოლოოდ გამოიხატება გაუმჯობესებულ მომგებიანობაში.

მხარის განმარტებით, აღნიშნული კონცენტრაციის შედეგები იქნება შემდეგი მიმართულებებით:

- **საქართველო, როგორც გზაგამტარი მეზობელი ქვეყნებისთვის:**

აღნიშნული ტრანზაქცია საქართველოს გადააქცევს მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე გაფართოების სტრატეგიულ კარიბჭედ. გლობალური ბრენდის დამკვიდრებული იდენტობის გამოყენებით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს სანდოობის გაძლიერებასა და ახალ ბაზრებზე წვდომის პროცესის გამარტივებას.

- **არსებული პროდუქტების დივერსიფიკაცია და ახალი პროდუქტების დანერგვა:**

ტრანზაქცია უზრუნველყოფს პროდუქციის დივერსიფიკაციასა და სასმელების ახალ კატეგორიებში, როგორიცაა ქართული ლიმონათები და ყავა, შესვლის შესაძლებლობას. პარალელურად, გაიზრდება არსებული პორტფელის გაძლიერების პოტენციალი, რაც შექმნის შანსს მომხმარებელთა ფართო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

- **ხარისხის გლობალური სტანდარტების დაცვა:**

გლობალური პარტნიორობა კიდევ უფრო გააძლიერებს სამიზნე ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის უკვე არსებული მაღალი ხარისხის სტანდარტებს, რაც წინგადადგემული ნაბიჯი იქნება საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის იმიჯის

გაუმჯობესებას უცხოურ ბაზრებზე და გახსნის შესაძლებლობებს სერტიფიკატებისა და ხარისხის აღმნიშვნელი ნიშნების მოპოვებისთვის, რითაც მათი საერთაშორისო მიმზიდველობა კიდევ უფრო გაიზრდება.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც. კერძოდ, მხარე მიუთითებს, რომ გარიგებაში მონაწილე მხარეთა საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად უნდა განისაზღვროს ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის, ასევე იმპორტირებული ყავის (Lavazza-ის ყავის მარცვლების, დაფუჭული ყავის, ყავის კაფსულების) დისტრიბუციისა და სასმელების (როგორც ალკოჰოლური, ასევე არაალკოჰოლური) დისტრიბუციის ბაზრები. ამასთან, მხარეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, შემძენის მოსაზრებით კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენს ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია. დროითი ჩარჩო კი ბაზარს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია, ვინაიდან, საქმიანობა არის მუდმივი.

რაც შეეხება კონცენტრაციის დადებით და უარყოფით ეფექტებს, მხარეთა მოსაზრებით, ტრანზაქცია ხელს შეუწყობს ბაზრის ინტერნაციონალიზაციას, გაიზრდება ქართული კომპანიების ცნობადობა, რაც გააუმჯობესებს მათ პოზიციონირებას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე, მოსალოდნელია არსებული ინფრასტრუქტურის უფრო ეფექტიანი გამოყენება და ოპერაციული პროცესების ოპტიმიზაცია. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეები ბაზრის სხვადასხვა დონეზე და გეოგრაფიულად განსხვავებულ რეგიონებში (სამიზნე კომპანიები საქართველოში, ხოლო შემძენი დასავლეთ ევროპის, აფრიკისა და ამერიკის რეგიონებში) ოპერირებენ, მხარის მოსაზრებით ტრანზაქციას არ ექნება არანაირი უარყოფითი ეფექტი არც მოკლე და არც გრძელვადიან პერსპექტივაში.

შეტყობინებაში მოცემულია ის სამი საკითხიც, რომლებმაც, მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

1. კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ ცვლის ბაზრის დინამიკას, იგი არ გამოიწვევს დომინანტური პოზიციის შექმნას ან გამყარებას, ვინაიდან, კონცენტრაციის შესაბამისი ბაზრები უკვე კარგად არის გაჯერებული და აერთიანებს მსხვილმასშტაბიან მოთამაშეებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა წარმოება, დისტრიბუცია და ლოგისტიკა, გარდა ამისა, არც „Royal Swinkels N.V“ და არც სამიზნე კომპანიები არ ფლობენ მნიშვნელოვან საბაზრო წილებს;
2. კონცენტრაცია არ შეაფერხებს ეფექტიან კონკურენციას საქართველოში არც ერთი პროდუქტისა და მომსახურების ბაზარზე. იგი სრულ თანხვედრაშია არსებულ კონკურენტულ გარემოსთან, რადგან მას არ მოჰყვება ძირითადი კონკურენტების გაქრობა/გამეფება და არ შექმნის ბაზარზე შესვლის ბარიერებს ახალი მოთამაშეებისთვის;
3. კონცენტრაცია არ დააზიანებს მომხმარებელთა კეთილდღეობას, რადგან მას არ ექნება უარყოფითი გავლენა ფასებზე, პროდუქტის ხარისხზე ან ასორტიმენტზე. ამის საპირისპიროდ, მომხმარებლები მეტად მიიღებენ სარგებელს საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდის იდენტობის, ახალი სახეობების, ტექნოლოგიური და მდგრადი პროდუქტის შეთავაზების გაჩენით.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11¹ მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;
4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
7. კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;

8. კანონის 11¹ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
- ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
 - ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. კანონის 11¹ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11¹ მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
11. კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26

ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;

14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთთანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.²

იქიდან გამომდინარე, რომ კონცენტრაციაში მონაწილეობს რამდენიმე კომპანია და ცალკეულ შემთხვევებში ისინი დაკავებულნი არიან სხვადასხვა საქმიანობით სხვადასხვა დონეზე, სააგენტოს მხრიდან ცალ-ცალკე გამოიყო ის შესაბამისი ბაზრები, რომლებსაც კონცენტრაცია შეეხება.

კონცენტრაციის ერთ-ერთი მხარე - შპს „გენუინ ბრევიנג კომპანი“ არის ლუდის მწარმოებელი კომპანია, ხოლო შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ აწარმოებს როგორც ლუდს, ასევე არაალკოჰოლურ სასმელებს. სააგენტო აღნიშნავს, რომ ლუდის, ისევე როგორც არაალკოჰოლური სასმელების შემთხვევაში, შესაძლებელია ბაზრის დამატებითი სეგმენტაცია/ქვეკატეგორიების გამოყოფა, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესწავლის მიზნით, სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილდება ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე დამატებითი ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

² კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

გარდა ამისა, შპს „ახალი ყავის კომპანია“ წარმოადგენს ყავის იმპორტიორ კომპანიას. აღნიშნულ შემთხვევაშიც მიუხედავად იმისა, რომ ყავის სეგმენტაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით, ეს იქნება მისი შემადგენლობა თუ ფორმა, სააგენტომ განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის არ მიიჩნია მიზანშეწონილად ბაზრის შემდგომი კატეგორიზაცია, აღნიშნული საკითხი დატოვა ღიად და შეისწავლა ზოგადად ყავის იმპორტის ბაზარი.

რაც შეეხება შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“, იგი ოპერირებს სადისტრიბუციო მომსახურების დონეზე.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა ბაზრის სხვადასხვა დონეზე, სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა განსახილველი ტრანზაქციის შესაფასებლად ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეესწავლა ყველა მიმართულებით. კერძოდ, კონცენტრაციის დონის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება კონცენტრაციის მხარეთა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების პროდუქციის სრული ასორტიმენტი.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

ზემოაღნიშნული პროდუქციისა და მომსახურებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად ყველა შემთხვევისათვის განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, არცერთ შემთხვევაში შესაბამის ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

სააგენტო აქვე განმარტავს, რომ განსახილველი კონცენტრაციის შედეგად არ არის მოსალოდნელი შესაბამის ბაზრებზე არსებული კონცენტრაციის დონის ზრდა, ვინაიდან, მხარეები წარმოადგენენ ერთ ჯგუფს, კონცენტრაციის შედეგად არ ხდება მათი ახლებურად

გადაჯგუფება და, ამასთანავე, შემძენი კომპანია არ ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შესწავლა თითოეული ბაზრის დეტალურ ანალიზს არ მოითხოვდა - გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო კონცენტრაციაში მონაწილე მხარეთა საბაზრო წილების დათვლის გარეშე. თუმცა, მიუხედავად ამისა, სააგენტომ შეისწავლა თითოეული ბაზარი, რომელსაც შესაძლოა შეეხოს დაგეგმილი კონცენტრაცია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ლუდის, ისევე როგორც არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და იმპორტის შემთხვევაში აწესებს აქციზური (ლუდი) და არააქციზური (არაალკოჰოლური სასმელები) სასმელების სავალდებულო მარკირების წესს. შესაბამისად, კონკრეტულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული თუ იმპორტირებული ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების მოცულობის, ისევე როგორც ბაზარზე მოქმედი კომპანიების იდენტიფიცირება შესაძლებელია ამავე პერიოდში გააქტიურებული აქციზური და არააქციზური მარკების ანალიზით.

ბაზრის მოცულობის, მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტო ეყრდნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ ინფორმაციას 2023 წელს გააქტიურებული აქციზური და არააქციზური მარკების შესახებ (მატერიალური და არამატერიალური):³

არაალკოჰოლური სასმელების ბაზარი - 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 215;
- ბაზრის მოცულობა - 464 757 669 ლიტრი;
- შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ლიტრი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - 2 590.

ლუდის ბაზარი - 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 75;
- ბაზრის მოცულობა - 131 709 495 ლიტრი;
- შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ლიტრი) წილი - %;
- შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ლიტრი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - 2273.

გამომდინარე იქიდან, რომ კონცენტრაციის შედეგად შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტზე როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი კონტროლის მოპოვება, ყავის იმპორტის ბაზრის შეფასებისას სააგენტომ გაითვალისწინა სამიზნე კომპანიის, შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიას“ (ს/კ 405182840) (რომელზეც ხდება პირდაპირი კონტროლის მოპოვება, თუმცა იგი თავად არ ახორციელებს საქმიანობას), შვილობილი კომპანიის, შპს „ახალი ყავის კომპანიის“ (ს/კ 205288099) (რომელზეც შემძენი მოიპოვებს არაპირდაპირ კონტროლს) საბაზრო წილი.

³ სააგენტოს 2024 წლის 12 მარტის N 02/974 წერილი.

ამდენად, ყავის იმპორტის ბაზრის შესასწავლად, სააგენტომ სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“⁴ გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. მიღებული მონაცემების თანახმად:

ყავის იმპორტის ბაზარი - 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 200;
- ბაზრის მოცულობა - 6 625 788 კილოგრამი;
- შპს „ახალი ყავის კომპანიის“ (კილოგრამი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - 1721.

რაც შეეხება სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარს, ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი სადისტრიბუციო კომპანიების შესახებ სააგენტომ გამოითხოვა ა(ა)იპ „საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციიდან“⁵. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დისტრიბუციის ბაზარი - 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 93;
- ბაზრის მოცულობა - 7 431 011 772 ლარი;
- შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკის“ (ლარი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - 400.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა მხოლოდ ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე. ბაზარზე დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის არსებითი შეზღუდვა კავშირშია ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან ან მის გაძლიერებასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თავის მხრივ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგი“ აპირებს ოთხი კომპანიის შეძენას და კონცენტრაცია რამდენიმე ბაზარს შეეხება, ტრანზაქციათა კონკურენტული ეფექტის შეფასებისათვის შესწავლილ იქნა თითოეული მათგანი. როგორც ზემოაღნიშნულ მონაცემთა დამუშავების შედეგად დადგინდა, დისტრიბუციის ბაზარი დაბალკონცენტრირებულია, ამასთანავე კონცენტრაციაში მონაწილე კომპანიის - შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკის“ საბაზრო წილი მხოლოდ %-ია. რაც შეეხება ყავის იმპორტის ბაზარს, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია, ამასთანავე სამიზნე კომპანიის (რომელზეც არაპირდაპირი კონტროლის მოპოვება ხდება) - შპს „ახალი ყავის კომპანიის“ საბაზრო წილი და

⁴ სააგენტოს 2024 წლის 29 ნოემბრის N02/4679 წერილი.

⁵ სააგენტოს 2024 წლის 06 დეკემბრის N 02/4828 წერილი.

შეადგენს %-ს. რაც შეეხება არაალკოჰოლური სასმელების ბაზარს, იგი მაღალკონცენტრირებულია, თუმცა კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის ინდექსის მაქსიმალურ მაჩვენებელს (2250). ამასთან, ამგვარ მაღალ მაჩვენებლს განაპირობებს არა კონცენტრაციაში მონაწილე, არამედ ბაზარზე მოქმედი სხვა კომპანიის საბაზრო წილი, ხოლო შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ წილი და შეადგენს %-ს. რაც შეეხება ლუდის ბაზარს, მართალია შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ წილი არაალკოჰოლურ ბაზართან შედარებით მაღალია და შეადგენს %-ს, თუმცა ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ მაჩვენებელს. ამასთანავე, ბაზარზე წარმოდგენილი არიან სამიზნე სუბიექტზე უფრო დიდი კომპანიები და ბაზარი ამ კუთხით საკმაოდ დაბალანსებულია. რაც შეეხება, შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ წილს, ის მხოლოდ %-ს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობისა და მსხვილ კომპანიებს შორის წილობრივი განაწილების გათვალისწინებით, ბაზარი საერთო ჯამში კონკურენტულია.

სააგენტოს მიერ დამატებით გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტორიც, რომ აღნიშნულ კომპანიათა 100%-იანი წილების მფლობელი ერთი სუბიექტია, რაც ნიშნავს, რომ ისინი არსებული მდგომარეობით უკვე ერთიანდებოდნენ ერთ ჯგუფში და მათი ამგვარი დაჯგუფება კონცენტრაციის შედეგი არ იქნება. ამდენად, მათი ახლებურად დაჯგუფების გამო კოორდინირებული და არაკოორდინირებული ეფექტების გაჩენის რისკი არ არსებობს. შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, კონკრეტულად კი შეფასებული ბაზრების სტრუქტურისა და კონცენტრაციის მონაწილე მხარეების საბაზრო წილის გათვალისწინებით, განხორციელებული კონცენტრაცია არ ახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „ჯორჯიან ბიერ ენდ ბევერიჯის ჰოლდინგის“ (ს/კ 405740881) მიერ შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ (ს/კ 406135640), შპს „გენუინ ბრევინგ კომპანის“ (ს/კ 405070694), შპს „გლობალ ქოფი ჯორჯიასა“ (ს/კ 405182840) და შპს „საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკას“ (ს/კ 205116088) 100%-იანი წილების შეძენის შედეგად ეკონომიკურ აგენტებზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციები, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.